



# სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია  
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

## მოსარჩელე: შპს 00000000-1

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. №27/29, მე-2 სართული, ბინა 13
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპს 00000000-2

ალტერნატიული მისამართი შპს 00000000-3	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
2222773	2223874
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.
მობილური	ფაქსი
	ელექტრონული ფოსტა
	greenalt@greenalt.org

## მოსარჩელის წარმომადგენელი: შპს 00000000-4

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №27/29, მე-2 სართული, ბინა 13
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
2222773	599902520
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.
მობილური	ფაქსი
	ელექტრონული ფოსტა
	ngujaraidze@greenalt.org

## მოკასუსი: შპს 00000000-5

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო		0114, თბილისი, გ. გულუას ქ. №6.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპს 00000000-6

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
2727234	2727234
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.
მობილური	ფაქსი
	ელექტრონული ფოსტა
	pr@moe.gov.ge

## საკონტაქტო პირი: შპს 00000000-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ  
ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვეწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [forms@hcoj.gov.ge](mailto:forms@hcoj.gov.ge)  
სანიშნო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი **შპს093365-9**

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

**შპს093365-10**

## დავის საბანი

**შპს093365-11**

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

**შპს093365-12**

## დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2013 წლის 1 ოქტომბერს მწვანე ალტერნატივამ # 04/09/01-112 განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და მოითხოვა:

1. RMG Gold-სა და RMG Copper-ის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და გაცემულ ლიცენზიებში შესული ცვლილებების (მათ შორის გაუქმების) შეტანისათვის გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის ასლი;
2. RMG Gold-სა და RMG Copper-ის მიერ 2012 წლის განმავლობაში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ, ლიცენზიებისა და ნებართვების კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშების ასლი.
3. შპს RMG Gold-ისა და სს RMG Copper-ის გარემოს დაცვის სამსახურის კვლევითი ლაბორატორიის მიერ ჩამდინარე წყლებზე განხორციელებული სისტემატიური ყოველდღიური მონიტორინგის ანგარიში, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 26 აგვისტოს #1672 წერილით მოწოდებული შპს RMG Gold-ისა და სს RMG Copper-ის 2012 წლის შემოკლებული საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშის თანახმად, თან ერთვის ანგარიშს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 26 აგვისტოს #1672 წერილით მწვანე ალტერნატივას ზემოაღნიშნული წერილის პასუხად ეცნობა, რომ სამინისტროდან გადმოეგზავნა RMG Gold-ისა და სს RMG Copper-ის 2012 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშის ასლის ის ნაწილი, რომლის გასაჯაროება კანონით არის დასაშვები. ამასთანავე ორგანიზაციას განემარტა, რომ "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, ინფორმაცია წიაღის აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებებისა ან პარამეტრების შესახებ წარმოადგენს იმ სუბიექტების საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია. დაუშვებელია სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის

თანხმობის გარეშე.

2013 წლის 14 ნოემბერს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და მოითხოვა - დაევალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მიერ 2013 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის #ი-344 ბრძანებით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სამინისტროს მიერ უხეშად დაირღვა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" კანონიერი უფლებები და ინტერესები, შესაბამისად წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს ასოციაციის დარღვეული უფლებების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

საქმის რეგისტრაციის № 13/13

# დავის ფაქტობრივი გარემოებები

მშპ078365-14 მშპ078365-15 მშპ078365-16

## 1. ფაქტობრივი გარემოება

2013 წლის 1 ოქტომბერს მწვანე ალტერნატივამ № 04/09/01-112 განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და მოითხოვა:

1. შპს არემჯი გოლდისა-სა და სს არემჯი კოპერ-ის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და გაცემულ ლიცენზიებში შესული ცვლილებების (მათ შორის გაუქმების) შეტანისათვის გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის ასლი;
2. შპს არემჯი გოლდი-სა და სს არემჯი კოპერ-ის მიერ 2012 წლის განმავლობაში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ, ლიცენზიებისა და ნებართვების კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშების ასლი.
3. შპს არემჯი გოლდი-სა და სს არემჯი კოპერ-ის გარემოს დაცვის სამსახურის კვლევითი ლაბორატორიის მიერ ჩამდინარე წყლებზე განხორციელებული სისტემატიური ყოველდღიური მონიტორინგის ანგარიში, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 26 აგვისტოს №1672 წერილით მოწოდებული შპს არემჯი გოლდი-სა და სს არემჯი კოპერ-ის 2012 წლის შემოკლებული საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშის თანახმად, თან ერთვის ანგარიშს.

მტკიცებულება:

დანართი 1. მწვანე ალტერნატივას 2013 წლის 1 ოქტომბრის #04/09/01-112 განცხადება.

## 2. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 22 ოქტომბრის #2620 წერილით მწვანე ალტერნატივას ნაწილობრივ მიეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია. ამასთავე ეცნობა, რომ შპს RMG Gold-ისა და სს RMG Copper-ის მიერ ჩამდინარე წყლების მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სასარგებლო წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, მისი თვისებებისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაციის მიღება და წიაღის შესწახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, ეს ინფორმაცია წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებიც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია.

გარდა ამისა, სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას, რომელიც წიაღის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს ლიცენზიანტის საკუთრებას და მისი გაცემა სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე დაუშვებელია ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

მტკიცებულება:

დანართი 2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 22 ოქტომბრის #2620 წერილი.

## 3. ფაქტობრივი გარემოება

2013 წლის 14 ნოემბერს ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და მოითხოვა - დაევალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ 2013 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

მტკიცებულება:

დანართი 3. 2013 წლის 14 ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივარი.

4. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის №ი-344 ბრძანებით ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულით სამინისტროს მიერ უხეშად დაირღვა ასოციაცია მწვანე ალტერნატივას კანონიერი უფლებები და ინტერესები.

მტკიცებულება:

დანართი № 4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის №ი-344 ბრძანება, 2013 წლის 13 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი

5. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

## 1. სასარჩელო მოთხოვნა

დაევალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 01 ოქტომბრის №04/09/01-112 განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემა ასოციაცია მწვანე ალტერნატივასათვის.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 37-ე, მე-40 მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს: ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება ისეთ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის 3 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ

ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება; ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერჯია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას; გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კონვენციის თანახმად, არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“. კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“. კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე მუხლის შემდეგი პარაგრაფების პირობების შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილონ ეკოლოგიურ ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში (ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად მიაწოდოს აგრეთვე ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას: ა) რაიმე ინტერესის გაცხადების გარეშე; ბ) მოთხოვნილი ფორმით, იმ გამონაკლისით თუ; I) ხელისუფლების ორგანოს გააჩნია საფუძველი მიაწოდოს ის სხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნას მიზეზები, რომელიც გაამართლებს ინფორმაციის სხვა ფორმით გაცემას. II) ეს ინფორმაცია უკვე არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის სხვა ფორმით“.

სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და უგულვებელყოფით არ დააკმაყოფილა ასოციაცია მწვანე ალტერნატივას განცხადებები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის 2013 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის დავალდებულების შესახებ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას. სასკ-ის 24-ე მუხლი.

## 2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის #ი-344 ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 37-ე, მე-40 მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს: ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ მოტხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება ისეთ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს



სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის 3 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება; ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას; გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კონვენციის თანახმად, არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“. კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის

რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“. კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე მუხლის შემდეგი პარაგრაფების პირობების შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილონ ეკოლოგიურ ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში (ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად მიაწოდოს აგრეთვე ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას: ა) რაიმე ინტერესის გაცხადების გარეშე; ბ) მოთხოვნილი ფორმით, იმ გამონაკლისით თუ; I) ხელისუფლების ორგანოს გააჩნია საფუძველი მიაწოდოს ის სხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნას მიზეზები, რომელიც გაამართლებს ინფორმაციის სხვა ფორმით გაცემას. II) ეს ინფორმაცია უკვე არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის სხვა ფორმით“.

სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და უგულვებელყოფით არ დააკმაყოფილა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს განცხადებები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის 2013 წლის 01 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის და ვალდებულების შესახებ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სასკ-ის 24-ე მუხლი.

### 3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

## მტკიცებითი შუამდგომლობები

შპ60/შპ6A-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შპ60/შპ6A-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შპ60/შპ6A-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

შპ60/შპ6A-23

## სსკპ სახის შუამდგომლობები

შპ60/შპ6A-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

**დიახ**  ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა**

...

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ  არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

**დიახ**  მტკიცებულება: ადმინისტრაციული საჩივარი

**არა**  რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

**თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?**

**დიახ**  მორიგების პირობები: განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პირობით.

**არა**  რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან დავა მოსარჩელისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შპ60/შპ65-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან დავა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება კანონდარღვევით.

შპ60/შპ65-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-32

## თანდართული საბუთების ნუსხა

შპ60/შპ65-33 შპ60/შპ65-34

დანართი 1: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2013 წლის 1 ოქტომბრის #04/09/01-112 განცხადება, 1 (ერთი) ფურცელი.

დანართი 2: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 22 ოქტომბრის #2620 წერილი, 25 (ოცდახუთი) ფურცელი.

დანართი 3: 2013 წლის 14 ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივარი, 28 (ოცდარვა) ფურცელი.

დანართი 4: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013 წლის 16 დეკემბრის #ი-344 ბრძანება და 2013 წლის 13 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი, 8 (რვა) ფურცელი.

დანართი 5: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, 2 (ორი) ფურცელი.

დანართი 6: რწმუნებულება, 1 (ერთი) ფურცელი.

დანართი 7: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, 1 (ერთი) ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა — 66

## სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება) და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

**ატვირთვის ბმული:** <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>

შპსი/შპსა-35

**საიდენტიფიკაციო ნომერი:**

შპსი/შპსა-36

შპსი/შპსა-37 ელ. ფოსტა: [1st.instance@court.ge](mailto:1st.instance@court.ge)

\*\*\*

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას  
აღმასრულებელი დირექტორი  
ნინო გუჯარაიძე

23.01.2014

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი და გვარი

შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.